TBILISI MEDICAL ACADEMY
MEDICINE STARTS HERE

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს მიერ 2023 წლის N161 ოქმით

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების და გაუქმების პროცედურა

მუხლი 1. ძირითადი დებულებები

1.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, დამტკიცება და განვითარება ურთიერთანამშრომლობითი პროცესია, რომელშიც მონაწილეობს ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური / მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი, ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა რგოლის წარმომადგენელი, ადმინისტრაციული პერსონალი, საჭიროების შემთხვევაში - ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტ(ებ)ი).

1.2 წინამდებარე დოკუმენტის თანახმად, პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიაში (შემდგომში - თსა) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების შესახებ ინიციატივა შეიძლება გამოთქვას შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე ნებისმიერმა პირმა, ან პროგრამის შემუშავების საჭიროება წარმოიქმნას თსა-ს ინსტიტუციური განვითარების პრიორიტეტებისა და მიზნებიდან გამომდინარე.

1.3 მოქმედი პროგრამის განვითარების საფუძველს წარმოადგენს პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები და მიგნებები, დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული/განახლებული მოთხოვნები, განახლებული საკანონმდებლო რეგულაციები, საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება, ინსტიტუციური განვითარების პრიორიტეტები და მიზნები და სხვა.

მუხლი 2. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და დამტკიცება

2.1 შესაბამისი კვალიფიკაციის და კომპეტენციის მქონე პირ(ებ)ი უფლებამოსილია შეიმუშავოს და წარადგინოს ახალი საგანმანათლებლო პროგრამა, ან პროგრამის პროექტი, რომელიც განიხილება და მტკიცდება წინამდებარე მუხლით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.

2.2 ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პირველი ეტაპია რექტორისთვის საგანმანათლებლო პროგრამის, ან პროგრამის პროექტის წარდგენა.

2.3 წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ინსტიტუციური განვითარების პრიორიტეტებთან და მიზნებთან თანხვედრის შემთხვევაში, მასზე სამუშაოდ, რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ჩამოყალიბდება მუდმივ მოქმედი სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრები შეიძლება იყვნენ პროგრამით განსაზღვრულ სფეროში შესაბამისი კომპეტენციის მქონე თსა-სთან აფილირებული პირები. აღნიშნული სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მოწვეული პირის სტატუსით შეიძლება მონაწილეობდეს მოწვეული ლექტორი, სტუდენტი, დამსაქმებელი, ადგილობრივი და/ან საერთაშორისო ექსპერტი.

2.4 რიგ შემთხვევებში, ახალი პროგრამის შემუშავება შესაძლოა დაიგეგმოს თსა-ს ინსტიტუციური განვითარების პრიორიტეტებისა და მიზნებიდან გამომდინარე, რისთვისაც რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაკომპლექტებული შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე პირ(ებ)ი შეიმუშავებენ საგანმანათლებლო პროგრამას,

რომელიც განიხილება და მტკიცდება წინამდებარე მუხლით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.

2.5 საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნები, გარე პარტნიორებთან კონსულტაციები, დარგის სპეციფიკა, ტენდენციები და საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკები.

2.6 პროგრამის შემუშავების დასასრულს, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

2.6.1 საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება;

2.6.2 უმაღლესი განათლების საფეხური;

2.6.3 მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია;

2.6.4 სწავლების ენა;

2.6.5 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;

2.6.6 საგანმანათლებელო პროგრამის მიზანი;

2.6.7 სწავლის შედეგები;

2.6.8 პროგრამის სასწავლო გეგმა, კომპეტენციების რუკა და ყველა სავალდებულო და არჩევითი კომპონენტის სილაბუსები;

2.6.9 სწავლა-სწავლების მეთოდები;

2.6.10 სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;

2.6.11 სწავლის/საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა;

2.6.12 ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ (პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები).

2.7 პროგრამას დასამტკიცებლად თან უნდა ახლდეს შემდეგი დანართები:

ა) შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების კვლევის ანალიზი;

ბ) (ბიო)მედიცინის, ჯანდაცვის და მომიჯნავე სფეროების საჭიროებების და/ან ინსტიტუციური განვითარების პერსპექტივების ანალიზი;

გ) ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

2.8 სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული და შეთანხმებული საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები და თანმხლები დანართები შესაფასებლად და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად გადაეცემა თსა-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

2.9 თსა-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის საფუძველზე:

ა) საჭიროების შემთხვევაში შემუშავებული ახალი საგანმანათლებლო პროგრამა უბრუნდება სამუშაო ჯგუფს თსა-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შენიშვნების განხილვისა და შესაბამისი მოდიფიკაციისათვის;

ბ) დადებითი შეფასების შემთხვევაში ახალი საგანმანათლებლო პროგრამა გადაეცემა რექტორს დასამტკიცებლად.

2.10 საგანმანათლებლო პროგრამის პროექტზე მუშაობის პროცესში, ან დასრულებული სახით, პროგრამა შესაძლოა გაზიარდეს ადგილობრივ, ან საერთაშორისო ექსპერტთან ექსპერტთან კოლეგიალური, განმავითარებელი შეფასებისთვის.

2.11 ერთობლივი პროგრამების შემთხვევაში მისი დაგეგმვა, შემუშავება, დამტკიცება, განვითარება და გაუქმება ხორციელდება პარტიონიორ უსდ-ებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით/შესაბამისად.

2.12 ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შემთხვევაში ხდება პროგრამის კატალოგის შემუშავება რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ზოგად ინფორმაციას. კატალოგის განთავსდება ხდება თსა-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სადაც ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

2.13 შემუშავებული ახალი საგანმანთლებლო პროგრამა განხორციელდება მხოლოდ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ აკრედიტაციის მინიჭების საფუძველზე.

მუხლი 3. მოქმედი, აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი, პერიოდული შეფასება და განვითარება

3.1 წინამდებარე მუხლი განსაზღვრავს თსა-ში მოქმედი, აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის და განვითარების პროცედურას.

3.2 მოქმედი, აკრედიტებული სასწავლო პროგრამის მონიტორინგი ხორციელდება თსა-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით აკადემიური თავისუფლების და კეთილსინდისიერების, კოლეგიალობის, პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით და მოიცავს პროგრამის განმახორციელებელი პირების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების რუტინულ გამოკითხვებსა და ფოკუს ჯგუფებს სასწავლო კურსებთან და პროცესთან დაკავშირებით , სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ყოველ სემესტრულ ანალიზს, სასწავლო პროცესზე პირდაპირი დაკვირვებით სწავლების ხარისხის შეფასებას, პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემის და ინსტრუმენტების ეფექტიანობის შესწავლას. გარკვეული პერიოდულობით ხდება დამსაქმებელთა მოთხოვნების კვლევა და/ან მათ მიერ სასწავლო პროგრამის შეფასება.

3.3 პროგრამის მონიტორინგითა და შეფასებით მიღებული შედეგები, ისევე როგორც სწავლა-სწავლებისა და შეფასების სწრაფად განახლებადი მეთოდები, ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების განვითარება და მუდმივად ცვალებადი გარემო შესაძლოა გახდეს პროგრამაში ცვლილებისა და მისი შემდგომი განვითარების საფუძველი.

3.4 პროგრამის ცვლილების პროექტი და ცვლილების აუცილებლობის/ მიზანშეწონილობის არგუმენტი მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში პროგრამების დეპარტამენტის მხრიდან წარედგინება მედიცინის სკოლის კურიკულუმის კომიტეტს.

3.5 მოქმედი სადოქტორო პროგრამ(ებ)ის ცვლილების პროექტი და ცვლილების აუცილებლობის/ მიზანშეწონილობის არგუმენტი სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის დეპარტამენტის მხრიდან წარედგინება სადისერტაციო საბჭოს.

3.6 მოქმედი სამაგისტრო პროგრამ(ებ)ის ცვლილების პროექტი და ცვლილების აუცილებლობის/ მიზანშეწონილობის არგუმენტი პროგრამის განმახორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურის მხრიდან წარედგინება რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ, შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირებით დაკომპლექტებულ საბჭოს.

3.7 საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული ცვლილება შეიძლება იყოს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, მასში სასწავლო კომპონენტის დამატება/ამოღება, სემესტრებს შორის საგნის/მოდულის გადანაცვლება, სასწავლო კურსის მოცულობისა და ხანგრძლივობის ცვლილება, სწავლა-სწავლებისა და შეფასების სისტემისა და მეთოდების განახლება, ან ნებისმიერი ცვლილება რაც მიმართულია პროგრამის განვითარებისკენ და არ წარმოადგენს პროგრამის ხელახალი აკრედიტაციის საფუძველს.

3.8 პროგრამის შემადგენელი კომპონენტები (სასწავლო კურსის/მოდულის შინაარსი, ხანგრძლივობა, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები) შესაძლოა განახლდეს ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასრულებისთანავე და აისახოს შესაბამის სასწავლო სილაბუსებში.

3.9 საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილება ხორციელდება კურიკულუმის კომიტეტის, ან სადისერტაციო საბჭოს დასკვნის საფუძველზე.

3.10 კურიკულუმის კომიტეტის/სადისერტაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად პროგრამების დეპარტამენტი/პროგრამაზე მომუშავე ჯგუფი შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რაც გაზიარდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროცესების შემდგომი მონიტორინგისა და შეფასების მიზნით.

3.11 პროგრამაში შესული ცვლილებების შესაბამისად ხდება პროგრამის კატალოგის განახლება და განახლებული რედაქციით განთავსება თსა-ს ვებ-გვერდზე.

3.12 ცვლილებების ასახვა პროგრამის აღწერასა და სილაბუსებში ევალება შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელ დეპარტამენტს, სილაბუსის ავტორის და საგნის სხვა განმახორციელებელი პირების ჩართულობით. განახლებული სილაბუსის რევიზიას და დამტკიცებას ახდენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ 2 კვირით ადრე.

3.13 პროგრამის განვითარების და მასში ცვლილების შეტანის შესახებ ეცნობება სკოლის საბჭოს.

მუხლი 4. პროგრამის გაუქმება

4.1 საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს პროგრამის შიდა ან გარე შეფასებისას გამოვლენილი ნაკლოვანებები და არაეფექტურობა, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს პროგრამის მიმართ დაბალ საზოგადოებრივ ინტერესთან, პროგრამის შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნებთან შეუსაბამობასთან, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებთან, ინსტიტუციის სტრატეგიული ხედვის ცვლილებასთან, პროგრამის განხორციელების მხარდამჭერ გარე პარტნიორებთან თანამშრომლობის შეწყვეტასთან და სხვა.

4.2 წინადადებას საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ, პროგრამის ხელმძღვანელების ინიცირებით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის გათვალისწინებით განიხილავს მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში კურიკულუმის კომიტეტი, სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო, ხოლო სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირებით დაკომპლექტებული საბჭო.

4.3 პროგრამის გაუქმების შესახებ დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში რექტორი გამოსცემს შესაბამის სამართლებრივ აქტს.

4.4 პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სტუდენტთა კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, პროგრამა შესაძლოა გადავიდეს მილევად რეჟიმში, რომლის განმავლობაშიც, პროგრამის აკადემიური ხანგრძლივობის გათვალისწინებით, ყველა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტს მიეცემა სწავლის დასრულების და პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობა, ახალი ნაკადის მიღების გარეშე. მილევადი რეჟიმის გარეშე პროგრამის შეწყვეტის შემთხვევაში, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების (არსებობის შემთხვევაში) სასწავლო პროცესის გაგრძელების უზრუნველყოფა განხორციელდება მობილობის ნორმების შესაბამისად, რიგ შემთხვევებში, სხვადასხვა უსდ-სთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

5.1 წინამდებარე დოკუმენტს ამტკიცებს რექტორის საბჭო.

5.2 წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებების შეტანა ხდება მისი დამტკიცების წესით.